ქართ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოებ.




გაზეთის ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში დაიბეჭდა ბ-ნ გ. ქართველიშვილის მიერ ხელ-მეორედ რუსული წიგნი Барсова-Кожа Руставели въ разсказѣ. პირველად ეს წიგნი დაიბეჭდა 1888 წელს. ეს წიგნი ცალკე არ იბეჭდება და უფრო იმ რუსთაველის არის დაბეჭდილი, რომელნიც ისურვებენ სურათებიან „ვეფხის ტყაოსნის" ყიდვას; ამისთანა მყიდველებს ეს წიგნიც უსასყიდლოდ დაეთმობათ. წიგნს ბოლოზე დართული აქვს განმარტება იმ ზიჩის მიერ დახატულის სურათებისა, რომელიც „ვეფხის-ტყაოსან"-შია ჩართული.

*** ბ-ნმა გიორგი საძაგელოვმა „წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსწირა შემდეგი წიგნები, ნივთები და ძველი ფული. ტრიოდიონი (მარხვანი), საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრია სალოსი, მსოფლიო ისტორია, ხუცურის ასოებით ნაწერი, სადღესასწაულო, ძველი ხელთ-ნაწერი სადღესასწაულოსი, ღვთით მშვენიერი თხრობანი სულისა ფრიად სასარგებლო, რომელსაც ეწოდების „გვირგვინი", სწავლანი გამოკრეფულნი სულიერნი წმინდათა დიდთა წიგნთაგან, „სამოთხე მარგალიტი", ძველი საეკკლესიო წიგნი, ხუცური, ეტრატზე ნაწერი, აპოკრიფი ყოვლად წმინდა მარიამის ხარებასა და იოსებზე, მეთვრამეტე საუკუნეს ხელთ-ნაწერი ლიტურღია ოქროპირისა, რუსული ასამაღლებლები ქართულის ასოებით; ეს ხელთ-ნაწერი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც პლატონი იყო მოსკოვის მიტროპოლიტად; სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერის წიგნების ფურცლები, ისტორია გინა მოთხრობა სამღთო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმისა, შემოკრებული არხიმანდრიტი ზურაბიანის მიერ კოსტანტინეპოლელისა, მინის ბრასლეტი, ნაპოვნი თელავის ღვთაების ეზოში, საფლავის თხრის დროს—სამი არშინის სიღრმეზე; ეკუთვნის სამთავროს საფლავების დროს; ოთხი ძველი ვერცხლის ფული და სამიც სპილენძისა. ამავე საზოგადოებას ბ-ნმა გიორგი ზალიკალიანმა შემოსწირა ერთი წიგნი „მარგალიტიანი".

შემწირველთ „საზოგადოების" გამგეობა მადლობას უცხადებს.

*** ქუთაისი: ამ დღეებში ორი სამწუხარო ამბავი მოხდა ჩვენს ქალაქში. ვნების კვირის შაბათს, საღამოს მეშვიდე საათის ნახევარზედ, მივიდა ვაჭრის კემულარიას ნოქარი გრიგოლია რკინის გზის სადგურზედ საქონლის მისაღებად. საქონლის მისაღებ კანტორაში იჯდა მესაწერე ჩხეიძე, რომელიც იმ დროს რევოლვერსა სწმენდდა. გრიგოლიამ რაღაც ჰკითხა რევოლვერის შესახებ და უცებ რევოლვერი გავარდა: ტყვია საბრალო გრიგოლიას მარჯვენა გვერდში მოხვდა და შიგ ჩარჩა. ვის გაუვარდა რევოლვერი—ჩხეიძეს, თუ გრიგოლიას—არ ვიცით, ხოლო სიკვდილის წინ განსვენებულმა სთქვა, რომ მე თვით ძალათ დავიკარი რევოლვერიო. გრიგოლია აღდგომა დღეს გარდაიცვალა.

მეორე შემთხვევა აღდგომის მეორე დღეს იყო. აქაურის საოლქო სასამართლოს მოხელე ვასილ კეკერაძე და მაჭავარიანი (აქაური ლოტბარი) აღდგომა-დღესასწაულის მისალოცად ერთად დადიოდნენ ნაცნობებში. საღამოს მეექვსე საათი იქნებოდა, როცა ისინი „ზემო მხრიდამ ქვეით ქალაქში ჩამოდიოდნენ. „ზემო მხარი" ქალაქის ის ნაწილია, საცა ძველი, ბაგრატ მეფის, ტაძარია გამართული; ეს ალაგი მეტად აღმართია და ქუჩა-ბილიკები მეტად ხრიოკიანი და ოღრო ჩოღრიანია. კეკერაძემ და მაჭავარიანმა შეიმოკლეს გზა და ძირს, ბაზრისაკენ, იმ ვიწრო ბილიკით დაეშვნენ, რომელიც ჯაჭვის ხიდის პირდაპირაა თითქმის. ჯერ კიდევ სულ არ ჩამოსულიყვნენ, რომ ორივენი—კეკერაძეცა და მაჭავარიანიც—გადმოვარდნენ ძირს ასე ათის საჟენის სიმაღლეზედ. კეკერაძე იმ დღესვე ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა, მაჭავარიანი-კი, ჯერ თუმცა ცოცხალია, მაგრამ იმის მორჩენა საეჭვოა.

*** ქართლი: წელს გააჭირვა საქმე სხვა-და-სხვა მოარულებმა. ცხინვალსა და ახლო-მახლო სოფლებში ხუნაგი იყო ამას წინად. მას მოჰყვა ყვავილი და არა ერთი და ორი ყმაწვილი იმსხვერპლა. ბოლოს გავრცელდა წითელა, რომელიც ისე მძვინვარებდა სოფელ მეჯვრისხევში, რომ იძულებულნი გახდნენ იქაურის სასოფლო სკოლის შეგირდები დროებით დაეთხოვნათ. ყველა ამას ზედ დაერთო ბევრგან საქონლის ჭირი.

*** თონეთი: 17 აპრილს დახვდა აქეთ გზაზე ვიღაც ორი კაცი მგზავრს სომხებს და უნდოდათ გაეძარცვათ. მგზავრები გაიქცნენ. შეიპყრეს ხელში ავაზაკებს მხოლოდ ერთი კაცი კარაკოზ განდილ-ოღლი, რომელსაც დაუწყეს ცემა და თხოვნა ფულისა. შემდეგ, რაკი დარწმუნდნენ, რომ მგზავრს ფული არა ჰქონდა, თავი დაანებეს. პატარა ხანს უკან იგინივე დახვდნენ ტფილისიდამ მომავალს პეტროს ცორტოლოვს, რომელსაც იქ გაეყიდნა საქონელი და თან 160 მან. ფული მოჰქონდა. ავაზაკებმა დასჭრეს ცორტოლოვი, წაართვეს ფული და თამასუქი ასის თუმნისა, რომელიც ჩითახოვის კანტორისათვის ჩაებარებინა და ეს თამასუქი გამოერთმია. ავაზაკების ძებნას შეუდგა ბოქაული, მაგრამ ჯერ არ აღმოუჩენია.

*** სიღნაღი: გაზაფხული დიდის უბედურებით გვეწვია. სითბოსთან ერთად გამოიჩიკა ურიცხვი გუნდი კალიისა და მოიცვა არე-მარე. საცაა კალია სიღნაღს კარზე მოადგება. მტერს უკვე უჭერია უკეთესი ნაწილი ქალაქისა: ნუკრიანი, ჭოტორი და მადარო. გარეშემო სოფლებიდამ დიდძალი ხალხი წაასხეს კალიის გასაქლეტად. ყოველ დღე მუშაობს 1200—1500 კაცი, მაგრამ ეს ძალა რას უზამს მტრის თვალუწვდენელ ლაშქარს. ამისთანა უნუგეშო დროს დიდად გვაკვირვებს ის გარემოება, რომ მოქალაქენი ყურმოყრუებით სხედან თავის დახლებში და არშინალაბს ეღლებიან თავს და მტრის წინაამდეგ საბრძოლველად თითს არ ანძრევენ. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ თითქმის ყველა მათგანს აქვს თავისი ვენახი, თავისი ნახნავნათესი, თავისი ბაღჩა-ბოსტანი, და ამიტომაც, თუ მაინცა და მაინც, მტერთან პირდაპირ ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, თავისივე ინტერესების გულისთვის მაინც ქონებრივი შემწეობა აღმოუჩინონ მუშა გლეხებს, რომელთაც ამ ბედნიერ დღეებში თავიანთი სახლ-კარი, საქმე-საშრომი დაუტოვებიათ და გასულან ბრძოლის ველზე საზოგადო უბედურების ასაცილებლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი სასიამოვნო ამბავი. რომ იტყვიან „სოფელი სოფლით ძლიერიაო", მართალი ყოფილა. ისევ სოფელმავე გულ შემატკივრობა გამოიჩინა და უქონელსა და ღარიბ მოძმედ, რომელნიც ბედნიერ დღეებში ებრძოდნენ კალიას და აღდგომა დღეს გასახსნილებლად კბილის დასადგმელი არა მოეძეოდათ-რა, სოფლის მემამულეებმა და შეძლებულმა გლეხებმა შეუგროვეს: ბატკანი, ცხვარი, კვერცხი, ლორი, პური და სხვ და გაუგზავნეს ყოველივე ეს სანოვაგე.

*** დიდი-თონეთი: „ივერიის" მკითხველებმა შარშანდელის № 252-დგან უკვე იციან, როგორ დაქვეითდა ჩვენი საზოგადოება შარშანდელის მოუსავლობისა და საზოგადოდ სივიწროვისა გამო. ეხლა აქაურები ისევ იმის მეცადინეობაში არიან, რომ შიმშილი აიცდინონ თავიდგან და დღიურის ნამუშევარით როგორმე გამოჰკვებონ თავიანთი ოჯახები მეორე მოსავლამდე. აქაური გლეხების გაჭირვებულს მდგომარეობას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საგრძნობელი ვალი დასდებია მთელს საზოგადოებას: როცაკი სახელმწიფო ან სხვა რამე გადასახადის ფული ვერ მოუკრებნიათ დროზედ, ან მოუკრებნიათ და ვისისამე ხელს მიჰკრობია, საზოგადოებას უსესხნია თითო-ოროლა შეძლებულის

---

# ფელეტონი

## უცნაური სენი

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდამ)

„ჩემს სიცოცხლეს თუ რამ ფასი აქვს, იმით, რომ ესენი მყვანან და ამათ ვუმზერო"-ო იტყოდა ხოლმე გლეხი გაბრიელა ჩამწარდაძე, როცა შეჰხედავდა თავის შვილებს. უფროსი მათ შორის, რვა წლის ვაჟი, ისეთის სისწრაფით იზრდებოდა და იყრიდა ტანს, რომ გაბრიელა სრულიად დაიმედებული იყო—აგერ ოთხი-ხუთის წლის შემდეგ ჩემი ჩიტო (ჩიტოს ეძახდა გაბრიელი თავის უფროსს ვაჟს) მხარში ამომიდგება და შრომის ულელს შემიმსუბუქებსო. დანარჩენი ორი ბავშვიც—ხუთის წლის ვაჟი და ორის წლის ქალი—მეტად ცქრიალა და მოტიტინე ბავშვები იყვნენ. აბა, რა გასაკვირველია, რომ ასეთის სალის შვილების ყოლით გაბრიელა დიდს ბედნიერებას ჰგრძნობდა. მოუთმენლად მოელოდა იმ დროს, როცა მისი ქალ ვაჟნი დაიზრდებოდნენ და ყოველ თავის ლოცვაში გაბრიელა ღმერთს ამას ევედრებოდა: „ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ჩემი შვილების დასახლ-კარიანობას არ მოესწრებოდე"-ო.

—

გაბრიელა ჩამწარდაძე თექვსმეტისა თუ ჩვიდმეტის წლისა იყო, რომ მამა მოუკვდა და ოჯახი, მტერ-მოყვარის პასუხის გაცემა და გადასახადი ამ მცირე წლოვანს დააწვა კისერზედ. მცირე წლოვან უმცროს ძმების და გასათხოვარ დებისთვისაც იმას უნდა გაეწია მამის მაგიერობა. დიალ, ყოველივე ესე თავის მოვალეობად ჩასთვალა პატარა გლეხმა გაბრიელმა და ყმაწვილურის გულ-მხურვალობით შეუდგა ზრუნვას: დები გვარიანის მზითვით დაათხოვა, ძმებსა და დედას ასაზრდოებდა, მოყვარეს მოყვრობდა და მტერს მტრობდა. ერთის სიტყვით, გაბრიელა, თუმცა გარეგნობით ტლანქი, უშნო და მიუხიდველი იყო, სამაგიეროდ სოფლის გარემოებაში ჭკუა კარგად უჭრიდა და გრძნობა-ადამიანობასაც არ იყო მოკლებული. „იმ დღემდე მოკვდეს გაბრიელა, რომ ჩემს ოჯახს ხარჯი და სამოსი მოაკლდებოდეს! მამა აღარ გვყავს, ოჯახი დაობლდა, უფროსი მე დავრჩი და მე უნდა ვუპატრონო ოჯახს, ეს ჩემი ვალია"-ო, უფიქრნია ხშირად გაბრიელას და ამ ფიქრებით გამხნევებულს განუგრძვია მუშაობა ბევრჯელ ისეთ დროს, როცა ძლიერ დაღლილი ყოფილა და მოსვენება სჭირდებია.

გაბრიელა კარგად დავაჟკაცდა, აგერ-ეგერ თმასა და წვერში ჭაღარა გამოერია და მაინც ცოლის შერთვა არ მოინდომა. რამდენჯერმე შეუჩნდნენ დედა და დები, იქნება ვაფიქრებინოთ დაცოლშვილიანებაო, მაგრამ ხასიათმტკიცე გაბრიელას სხვისი რჩევა არაფრად ეპრიანებოდა და მუდამ თავისას ამბობდა,—ცოლს არ შევირთავ ჯერაო. მიზეზი გაბრიელასაგან ცოლის შეუ[რ]თველობისა ის იყო, რომ ჯერ თვით ბუნებითვე არ იყო ქალების მოყვარული და მერე კიდევ—შეუსვენებელმა შრომამ და ოჯახის ზრუნვამ სულ მოუკლა ეს გრძნობა. ვინ იცის, იქნება სულაც უცოლოდ დაბერებულიყო და ისე ჩასულიყო საფლავში ჩვენი გაბრიელა, რომ იმის ოჯახის გარემოება ცოტა სხვაფრივ არ დატრიალებულიყო: გაბრიელას გაეყარნენ უკვე დაცოლშვილიანებული უმცროსი ძმები, რომლებიც გაბრიელამ ისეთის მამობრივის მზრუნველობით გამოზარდა. დედა, რომელიც დარჩა გაბრიელასთან, როგორც პირმშო შვილთან, მოხუცებულობის გამო, ჯერ დაუძლურდა და შემდეგ დამბლად დაეცა. ეხლა-კი გაბრიელა, თავის სურვილის წინააღმდეგ, ძალაუნებურად იძულებული შეიქმნა ცოლი შეერთო.

— „იი, დახაქცევი, რაც არ გინდა, მაინცა-და-მაინც ის უნდა დაემართოს კაცს! არ შევირთავ ცოლს მეთქი, ვჩემობდი, და ახლა-კი ისე მოეწყო ჩემი საქმე, რომ უნდა შევირთო! ან რა უნდა ვქნა, რომ არ შევირთო? მე რომ ყანაში მიველ, საპყარი დედა ჩემი ლოგინზე უპატრონოდ რჩება! სხვა გზა არ არის, რაც არ მინდოდა, იგი უნდა გავხდე!" იფიქრა ერთხელ გაბრიელამ და თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხისაგან ფული და ისე უშორებია ხარჯი. ამ ნაირად შემდგარი ვალი მარტო ერთის კაცისა სახელდობრ, პეტრე ბადალაშვილისა, ჰმართებს საზოგადოებას 1455 მანათი. წვრილ-წვრილად აღებული ვალებიც იქნება ერთი 2000-მდე მანათი და, თუ სარგებლებით ვიანგარიშებთ, საზოგადოებას სულ ემართება 4500 მან. ადვილი არ არის თონეთის საზოგადოებისათვის ამოდენა ვალის გადახდა და სარგებლის ძლევა. იანგარიშეთ ისიც, რომ ვალს კიდევ სხვა ვალები ემატება და ამ გვარად ჩვენი საზოგადოება თან-და-თან უკან-უკან მიდის და უფრო სიღარიბეში ვარდება.

ასეთ გაჭირვებულს დროს მოწერილობა მოგვდის მაზრის უფროსისაგან, რომ მზად უნდა იყოლიოთ 56 კაცი და ოთხი ურემი ყარაიაზე წასასვლელად და კალიის საქლეტადაო; როცა ამ 56 კაცსა და 4 ურემს უკან დავაბრუნებთ, იმათი ბადალი სხვა უნდა გაჰგზავნოთო და ასე ყოველ თვის უნდა ჰგზავნოთ ორმოც-და-თექვსმეტი კაცი და ოთხ-ოთხი ურემი, მინამ კალიას სულ არ გაჰქლეტავთო. ასეთს ბეგარას წინ რა დაუდგება, მაგრამ ჩვენ მთის ხალხნი ვართ და ჩვენი კაცი ხომ ბარში ვერა სძლებს და ყარაიაზედ წასვლას ხომ ჯოჯოხეთში წასვლა გვირჩევნია. ჩვენ მთავრობას ვსთხოვეთ ყარაიაზედ აღარ გაგვგზავნონ, მაგრამ, თუ მოუხერხებელი იქნება ჩვენი განთავისუფლება, უნდა ვითხოვოთ, რომ პური მაინც მიეცეთ იქ წასულებს საგზლად, თორემ აქედგან რას წაიღებენ, როდესაც შინაც არაფერი აქვთ. თქვენი მტერი, თუ ორმოც-და-თექვსმეტ-თექვსმეტი კაცი და ოთხ-ოთხი ურემი ყოველთვიურ გვგზავნეს ყარაიაზედ! რასაც ცხელი ჰავა დაგვაკლებს, იმას შიმშილი გამოგვითავებს.

ჭირნახულს კარგი პირი უჩანს. მოსწრებული კაცები ამბობენ, რომ, კარგა ხანია, რაც ამ დროს ასეთი კარგი ჯეჯილი არ გვინახავსო. მართლაც და ჯეჯილს კარგი ღერო აქვს გაკეთებული და ბევრგან თითო მტკაველზეა აყრილი. ნეტა წელს მაინც გადავერჩეთ სეტყვასა, თორემ თუ შარშანდებულად დაგვსეტყვა, სწორედ შიმშილობა ჩამოვარდება ჩვენში.

*** გაზ. „ნოვოე ობოზ."-ე ამბობს, რომ 17 აპრილს უფროსი თავმჯდომარე ტფილისის სამოსამართლო პალატისა ს. ს. გონჩაროვი დაუნიშნავთ მართებლობის სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის სენატორად.

## გასართობი

უეჭველია მკითხველს მოეხსენება, რომ პირველს აპრილს ათას გვარს ხუმრობას გამოსტყუვრნენ, ათას ნაირს ტყუილს შეთხზავენ ერთმანეთის მოსატყუებლად და ყოველსავე ამაში იმით გაიმართლებენ თავს, რომ პირველი აპრილიაო. ერთი საპირველ-აპრილო ტყუილი, — როგორც რუსული გაზეთები ამბობენ, — კიევის უნივერსიტეტის სტუდენტს გამოუცხვია და, უნდა სიმართლე აღვიაროთ, ძალიან მოხერხებულად და მოხდენილად გამოუცხვია. პირველს აპრილს მიდის უნივერსიტეტში და ამხანაგებს ეუბნება, რომ გუშინ, 31 მარტს ლატარიაში ერთი დიდი ბოჩკა შაქარი მოვიგე და, რადგანაც ამოდენა შაქარს თითონ ვერ გავსწვდებით დასახარჯად, ამიტომ გთხოვთ შაქარი ჩემგან იყიდოთ და გირვანქას ორ შაურად დაგითმობთო. ხოლო თუ ვინმე თქვენგანი 20 გირვანქაზე მეტს იყიდის, იმათ გირვანქას თითო შაურად მივსცემო: სთქვა თუ არა ეს ახალი და მასთან ასეთი სასიამოვნო ამბავი, სტუდენტი სახლში წავიდა. ხოლო ამოდენა შაქრის მოგების ამბავმა თვალის დახამხამებას უმალ შემოიარა უნივერსიტეტის ყოველი კუნჭული და, ასე გასინჯეთ უნივერსიტეტის გარედაც გავიდა. სხვათა შორის, იაფის შაქრის ამბავს გაიგებს ერთი ღარიბი მოხელე, მაშინვე შეატყობინებს თავის ცოლს, გამოართმევს ფულებს, ტომარს და გასწევს სტუდენტის სახლისკენ. მიუახლოვდება სახლს და ჰხედავს, რომ იქ სტუდენტები ბუზსავით ირევიან, და ჰფიქრობს:

— კაი თუ გამიწყრა ღმერთი და დროზედ ვერ მოვედი, შეიძლება კიდევაც გაიყიდა. აი უბედურება. ან კიდევ ისიც საფიქრებელია, რომ შაქარი სტუდენტებს გარდა სხვას არავის მიჰყიდონ, მაგრამ სტუდენტები ხომ კეთილი კაცებია. უეჭველია, ორ ფუთ ნახევარ შაქარს, როგორც იქნება, დამითმობენ ამ სადღესასწაულოდ.

— აქა სცხოვრებს სტუდენტი №? ეკითხება მოხელე ერთს სტუდენტთაგანს.

— აქ გახლავთ, მობრძანდით.

ადის მოხელე სახლის აივანზე, გაიძრობს პალტოს და სჭდავს, რომ შიგნით რაღაც არა-ჩვეულებრივი ამბავია: ხმა-მაღლა ლაპარაკი, სიცილ ხარხარი და ჭიქების რახუნი ერთმანეთშია არეული. ამ ამბავმა ცოტა არ იყოს იაფის შაქრის მუშტარი მოხელე დააფიქრა, მაგრამ, ჩქარა სასიამოვნო აზრმა გაურბინა თავში:

— შესაძლოა, მოგებულმა სტუდენტმა თავის ამხანაგთ ნადიმი გაუმართაო.

შევიდა ოთახში და ხედავს, რომ მართლა ნადიმია გაჩაღებული. ერთს წამზე ყველაფერი დაწყნარდა. სტუდენტების ყურადღება ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა მიიქცია, რომელიც გაოცებული იდგა და ხმას ველარ ამოიღო. ბოლოს როგორც იყო იკითხა:

— თქვენში სტუდენტი № რომელია?

— მე გახლავართ, რა გნებავთ, უპასუხა ერთმა ახალგაზრდამ.

— უსათუოდ შაქრის საყიდლად არის მოსული, ხმა გაიმინდეთ, — სთქვა ერთმა და ამ სიტყვაზე ყველამ გადიხარხარა.

მოხელე ამან უფრო არივ-დარია, მაგრამ როგორც იყო წაიდუღდუღა:

— მე გავიგე, რომ თქვენ შაქარი გაქვთ გას...

— შაქარი, ჰო შაქარი!.. გაიმეორეს სტუდენტებმა და ხელ ახლა ასტეხეს სიცილ-ხარხარი.

— შაქრის შესახებ შემდეგ ვილაპარაკოთ, ხოლო ახლა გთხოვთ დაბრძანდეთ და ჩვენთან ერთად თქვენც შეექცეთ. დღეს დედა ჩემის დღეობაა.

— გმადლობთ, მაგრამ დრო არა მაქვს...

მხოლოდ ორ ფუთ ნახევარი მომინდება, — ამბობდა ხელების ფშვნეტით დავთარ დაჩნეული მოხელე.

— გამიგონეთ, გეთაყვა: შაქრის შესახებ რაც გაგიგიათ, ეს პირველი აპრილის ტყუილი იყო, ხოლო დედა ჩემის დღეობა კი ნამდვილი ამბავია. დაბრძანდით, მიირთვით რამე.

ხელ-ახლა სიცილი, ხელ-ახლა ხარხარი ატყდა და ხუმრობა გაიმართა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გადავუხადო მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის მონოზონთ, რომელთაც შემოსწირეს სოფლის სკოლის დამხმარებელ საზოგადოებას პარასკევამ 3 მან., დოდომ - 60 კაპ. და პელაგიამ—1 მან. და 40 კაპ. სულ 5 მან.

სოფლის მასწავლებელი ნიკო თარხნიშვილი

## უკანონო წინააღმდეგობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის" ერთს უკანასკნელს ნომერში ბ-ნი ვერმიშანაშვილი, სხვათა შორის, შეეხო იმ უკანონო წინააღმდეგობას, რომელსაც ქუთათური მეველნი ხალხის განათლებისა უწევდნენ და ეხლაც უწევენ ჩემ მიერ შედგენილს სახელმძღვანელოს რუსულის ენისას „Русское Слово". რადგანაც საქმის ვითარება და გარემოება ავტორის მიერ გარკვევით და სინამდვილით ვერ არის განმარტებული, ამიტომ მე იძულებული ვარ ჩემ მხრივ მცირეოდენი მოხსენება დავურთო.

ხსენებული წინააღმდეგობა აღვნიშნე მე და გამოვააშკარავე წარსულის წლის შემოდგომაზედ „ივერიისავე" ფურცლებზედ წერილში „უცნაური ჯადოს წრე". მე ვითხოვდი ჩემის წიგნისა მკრძალველთაგან პასუხი ეგოთ: რა მიზეზის ძალით ეწინააღმდეგებიან ისე ცხარედ თავისს ქვეშევრდომს სკოლებში წიგნის ხმარებას, რომელიც მოწონებულია მთავრობისაგან. დარწმუნებული ვიყავ, რომ პასუხს ვერ მომცემდნენ, და ვერც მომცეს. და იგი იოტის ოდენადაც საჭირო არ იყო. მე დაბეჯითებით ვიცოდი, რომ მალე გამოაშკარავდებოდა ყველასათვის თვალსაჩინოდ, თუ რა მიზეზი და განზრახვა მოქმედობდა აქა და სად იყო ჩაფლული მძორი, ერთი ანდაზისა არ იყოს. მართლაც, არ გამოსულა ერთი თვეც ჩემი წერილის დაბეჭდვის შემდეგ, რომ სტამბიდგან გამობრძანდა: „Курсъ русскаго языка для грузинскихъ начальныхъ школъ Ф. Левицкаго"... ჯერედ ეს წიგნი არ დაბადებულიყო, რომ მისმა ავტორმა თავის საბრძანებელში გაგზავნა ეპისტოლე, რომელთაც აუწყებდა ქვეშევრდომ მასწავლებლებს, რომ ამ ცოტა ხანში გამოვა ჩემი საკუთარი სახელმძღვანელო რუსულის ენისაო... მერმე, წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, წარსულს იანვარში Курсъ-ის ავტორმა მიმართა მასწავლებლებს შემდეგი ეპისტოლეთი: „ვაუწყებთ, რა რომ... სამოქალაქო სკოლის სასწავლებლის საწყობში მიღებულია ჩემი სახელმძღვანელო, გთხოვთ წაიღოთ იქიდგან იმდენი, რამდენიც საჭირო იყოს თქვენის სკოლის პირველი განყოფილების მოწაფეთათვის, რომელთაც ახლა უნდა შეუდგნენ რუსულის წერა-კითხვის სწავლასა. თუ მეორე განყოფილების მოწაფეებს გაუთავებიათ პირველ დაწყებითი კურსი (კალანდარიშვილისა) ან „Родное Слово", იმათაც შეუძლიათ იხმარონ ჩემი წიგნი". გამოდის, რომ Курсъ-ის სწრაფად გასავრცელებლად იგი უნდა იხმარონ სკოლებში სხვა სახელმძღვანელოების (გარდა Русское Слово-სი) წინედაც, მათთან ერთადაც და მათ შემდეგაც... გაგონილა ამისთანა უცნაური ოინი?...

მაგრამ იქნება Русское Слово-ს დევნა და Курсъ-ის ძალის ძალად გავრცელება გამოწვეული იყოს საგნის სიკეთის მიხედვით და არა რაიმე გარეშე ანგარიშით? იქმნება Курсъ-სი სჯობდეს Русское Слово-სა და ამიტომ ელობებოდეს გზაზედ ამ უკანასკნელს ავტორი პირველის წიგნისა? დავეკითხოთ სხვებსა, ვისაც აქვს სრული შეძლება უტყუარი აზრი წარმოსთქვან ამ წიგნების შესახებ.

მივმართოთ ჯერედ ადგილობრივს სამოსწავლო მთავრობასა, რომელსაც სამინისტრომ კაი ხანია გადმოსცა სრული უფლება სახელმძღვანელოების მოწონებ-დაწუნებისა, მთავარ-მართებლის დამტკიცებით... ბატ. ლევიცკი ამ მთავრობის წევრია, მაშადამე მასთან დაკავშირებულია სამსახურით, ნაცნობობით და მეგობრობით. ჩვენი მდგომარეობა, როგორც კერძო კაცისა, სრულიად სხვა არის. რა სთქვა ამ მთავრობამ? მან პირველი გამოცემა ჩვენი (Руское Слово-სი) მოიწონა, როგორც სამოსწავლო მაშველებელი (учебное пособіе[1]), მეორე-კი როგორც სახელმძღვანელო (Руководство[2]). ბატ. ლევიცკის წიგნი-კი მოწონებულია როგორც მაშველებელი (пособіе). აქ საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ პირველ-დაწყებითის სასწავლებელთათვის მაშველებლად წიგნის მოწონება თითქმის დაწუნებას უდრის მოწაფეთათვის, რადგანაც ამ უკანასკნელთ ხელში უნდა ჰქონდეთ მარტო ერთი რომელიმე სახელმძღვანელო და ყოველი მაშველებელი წიგნი მხოლოდ დააბნევს მათ. მაშველებლად მოწონებული წიგნი უნდა იყოს მხოლოდ ბიბლიოთეკაში და მითი სარგებლობდეს მასწავლებელი... აშკარაა, რომ ბ-ნ ლევიცკის მოქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება მთავრობის აზრსა და განკარგულებასა, რომლის ძალითაც ყველა ქართულს სკოლებში მიუცილებლად უნდა იხმარებოდეს „Русское Слово", როგორც ერთად-ერთი წიგნი ამ ჟამად, აღიარებული რუსულის ენის სახელმძღვანელოდ.

[1]) იხილე Циркуляръ по Управленію Кавказскимъ учебнымъ Округомъ за январь 1890 года.

[2]) იხილე Циркуляръ за февраль мѣсяцъ 1891 года.

---

ვისი აზრი თავის დებს განუზიარა; დები, კარგა ხანია, დაქმარშვილებულნი იყვნენ და, როგორც ვსთქვით, — გაბრიელას მოსვენებას არ აძლევდნენ, —დაცოლშვილიანდიო.

ერთმა გაბრიელას დამ, თავის მეზობლებში გავლენიანმა და მოხერხებულმა დედაკაცმა, გამოუნახა თავის ძმას კარგი საცოლო და გაურიგა საქმე. ერთს შაბათ დღეს, საღამოს ჟამს, ჩვენი გაბრიელა, ახალ ტანისამოსში გამოწყობილი, დინჯის სახით, როგორც სიძე, ცხენით მიემგზავრებოდა საცოლოს სანახავად.

გაბრიელას საცოლო იყო ცამეტის წლისა, ერთის ღარიბის გლეხის ქალი. ტასოს (ტასო ერქვა გაბრიელას საცოლოს) მამას თავის ქალისთვის არც «მზითევი» ებადა და არცარა. სამაგიეროდ ტასო ისეთი ლამაზი, მოხდენილი არსება იყო, რომ სოფლის ბიჭებს თვალი რჩებოდათ იმაზე. ყველა იმას ნატრობდა: „ღმერთო იმ ბედის გამხადე, რომ ტასო შემერთოს ცოლად"-ო. თავის ქალის სილამაზით თავი მოსწონდათ მშობლებსაც და ხშირად ამბობდნენ: „ჩვენს ტასოს მზითევი არ უნდა, მისი მზითევი, მისი სილამაზეა"-ო. ეს მშობლების წინასწარმეტყველება ტასოს შესახებ მართალი გამოდგა: გაბრიელა ჩამწარდაძე, არა თუ მარტო თანხმა შეიქნა ტასოს შერთვისა უმზითვოდ, ასე გასინჯეთ, როცა თავის საცოლო ტასოს თვალი შეავლო, სიყვარულის ეშხზედაც კი მოვიდა ეს დედათა სქესის მოძულე, ხანში შესული კაცი. მართალია, ვერც იმას ვიტყვით, რომ გაბრიელასთვის არ გაერბინოს ასეთ ფიქრებს: „მე ავერ კიდეც მოვხუცდი და ჩემი საცოლო-კი თორმეტ-ცამეტის წლის ბავშვია! რითი შევეფერებით ჩვენ ერთმანეთს? ჩემს საცოლოს სიყმაწვილის ჩიტი უფრინავს გულში და მე-კი მოხუცებულობის ყვავი ჩამომჩხავის!" მაგრამ ამ გვარ ფილოსოფიურ მოსაზრებას უსწავლელი კაცის მოქმედებაში ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს; თავი და თავი გავლენიანი ძარღვი უვიცისთვის ერთხელ დაარსებული ზნე-ჩვეულებაა. აი, ეს ჩვეულება უხვევდა თვალებს და ეუბნებოდა გაბრიელას: „რა ყურადღების ღირსია, რომ შენსა და შენს საცოლოს შორის დიდი განსხვავებაა ყველაფრით? შენ ქმარი იქნები, ის—ცოლი, შენ—ბატონი, ის—ყმა. განა ცოტანი არიან ქვეყანაზე ისეთები, რომ შვილის შვილად შეჰფეროდათ, ისეთი ყმაწვილი ქალი შეერთოთ და ისიც საცოლოს დაუთანხმებლად!".

რაღა ბევრი მოგიყვეთ: გაბრიელას მუდმივი წმინდა სინიდისი ამ შემთხვევაში ჩაახშო რჯულთ-უმტკიცესმა ჩვეულებამ და გაბრიელა დაინიშნა ტასოზე. მართალია, ტასოს დედა და თვითონ ტასო წინააღმდეგი იყვნენ ამ ნიშნობისა, მეტადრე ტასო ტირილით ისიევდა თვალებს და ეხვეწებოდა მამას: „ნუ გამათხოვებ, არ მინდა ქმარი"-ო მაგრამ რა შეუძლიან მამა-კაცის სურვილის წინაშე სუსტს არსებას—ქალის უარს და წინააღმდეგობას—მეორე, ისიც გლეხკაცობაში? საკმარისია ამისთანა შემთხვევაში, რომ მამა-კაცმა დაიღრიალოს: „სუ! შენ ვინ გკითხავს, ან რა იცი დედა-კაცმა"-ო, — მისი ცოლი და ასული შიშისაგან ჩაიკმენდენ ხმას. მაგრამ გარეგნობით ხმა ჩაკმენდილები თავის გულში კი აღუღებენ საწამლავს, რომ, როცა დროს ჩაიგდებენ ხელში, გადაანთხიონ თავიანთ მჩაგვრელების სიცოცხლეს, აგრძნობინონ, რომ უსამართლო ძლიერებას ცუდი შედეგი მოსდევსო.

ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა: ტასოსაც და მის დედასაც თავიანთი უარი გულში ჩააკვლევინა პირველის მამამ, მეორეს მეუღლემ და ორთავეს „უფროსმა". რა დარდი ჰქონდა ძალმომრეობის ზნე-ჩვეულებაში აღზრდილს ტასოს მამას, რომ მის ქალს აშინებდა გაბრიელას მსხვილი წარბები, მძვინვარე მოხუცის პირი-სახე, და მაღალი, ცოტათი ბეჭებში მოხრილი ტლანქი ტანი, რომ ამ ბავშვ-ქალს შიშის ჟრუანტელი დაურბენდა ტანში, როცა წარმოიდგენდა „იმ საშინელის კაცის ხვედრი ვარ"-ო.

გავიდა რამდენიმე კვირა და მოაწია ქორწილის დღემაც. მტირალი ტასო მამამ ძალად შესვა ცხენზედ და, თითქო გაყიდული საქონელიაო, დაულოცა გაბრიელა ჩამწარდაძეს.

(დასასრული იქნება)

მასწავლებლები რაღასა ფიქრობენ და რა აზრისანი არიან ორივე წიგნზედ? მათ, როგორც ყველაფრიდგანა სჩანს, უვარგისად მიაჩნიათ Курсъ-ი და არჩევენ Русское Слово-ს ხმარებასა. მაგრამ ძალა დამოკლოს ხანჯალსავით თავს ადგიათ და ისინი ყველას შესჩივიან თავის შევიწროებულს მდგომარეობას თუ სიტყვით, თუ წერილით. ამ გვარი საჩივრები მოსდის „ივერიასაც“ საუკეთესო იმიერ მასწავლებელთაგან: ჩვენც მივიღეთ კოპიოები მასწავლებლების წერილებისა, რომელნიც მოწერილნი არიან მათ იქაურს ნაცნობებთან და რომელთა გულ-წრფელობა ამის გამო ყოვლის ეჭვის გარეშე უნდა იყოს. აი პირველის წერილის პირი:

„ძმაო №! ლევიცკიმ დაგვაძალა — ჩემი სახელმძღვანელო, ვარგა, თუ არა, უთუოდ შემოიღეთო. მეტი გზა არ არის, უნდა დავემორჩილოთ უფროსს, თუმცა გრძნობ სადირალი არ არის მისი სახელმძღვანელო. ამიტომ გთხოვ გაისარჯო და შემიტყო, სამოქალაქო სასწავლებელში მოვიდა თუ არა გასასყიდათ დირექტორის სახელმძღვანელო!?“

მეორესაც მოუნდომებია, ხათრი და მორჩილობა გაეწია თავისი უფროსისათვის და უყიდნია მისი სახელმძღვანელო, მაგრამ, როცა დაბრუნებულა შინა და გადუკითხავს, აზრი შეუცვლია: ნაყიდი Курсъ-ის ეგზემპლიარები კუთხეში დაუწყვია და დაუბარებია „Русское Слово“. აი პირი ამ მასწავლებლის წერილისა:

ძმაო №! გიგზავნი 12 მანეთსა და გთხოვ 40 ცალი „Русское Слово“ პირველი ნაწილი გამომიგზავნო. წლეულ ძალა უნებურად დირექტორის გულის დასამშვიდებლად, მის სასიამოვნოდ უნდა შემომეღო მისი სახელმძღვანელო, მაგრამ ყოვლის მხრივ რომ გავშინჯე საქმე, კარგად რომ ავხედ-დავხედე, დავრწმუნდი, რომ დიდი უსინიდისობაა ჩემის მხრივ გავდენოთ, თუნდა ერთი ორი წლით, საუკეთესო (რაც-კი გვაქვს, იმათში, რა საკვირველია) სახელმძღვანელო და შემოვიღოთ ზოგიერთის პირადის სარგებლობის და სიამოვნებისათვის ყოვლად უვარგისი სახელმძღვანელო. არასფრის გზით არ შემიძლიან ის წიგნები დავურიგო ბავშვებს, რადგანაც მაშინ დამნაშავე ვიქმნები ჩემის თავის წინაშე და წინაშე ორმოცის ბავშვისა, რომელიც პირველს განყოფილებაში სწავლობს. საყვედურს მე სრულიადაც არ ვუფრთხი“.

მესამე რიგის პირთაც მივმართოთ. ბატონს ლევიცკის სასწავლებლის უფროსთა შორის ბლომადა ჰყავს კარგი ნაცნობები, მეგობრები, კეთილისმყოფელნი. მან, როგორც ვიცით, ყველას მათგანს გაუგზავნა თავისი სახელმძღვანელო ჯერედ შემოდგომაზედვე, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ მათ თავის ქვეშევრდომს სასწავლებლებში შემოეღოთ ხმარება Курсъ-ისა. ეხლა ვიკითხოთ: რა ჰქნეს ამ მეგობრებმა? მიიღო ერთმა მათგანმა მაინც ან სახელმძღვანელოდ, ან მაშველებლად თავისი მეგობრის წიგნი? არა, მისი წიგნი ყველამ იუცხოვა, ყველამ ძლიერ მდარე რაღმე ჩასთვალა, ყველამ შერაცხა მით ხმარება შეუძლებლად; და ჩვენ ვერ დაგვისახელებენ ვერც ერთს გამოკლებას ამ საზოგადო მოვლენიდგან. ვერ დაგვისახელებენ ვერც ერთს სკოლას, არა ქვეშევრდომს ბ. ლევიცკისასა, სადაც მისი წიგნი მიღებული იყოს. რაც შეეხება ჩვენს „Русское Слово“ იგი თავის თავად, სრული ნებაყოფლობით მოეფინა სკოლებს და მიღებულია სახელმძღვანელოდ ორივე ქართულ გუბერნიის ყველა სამრევლო სკოლებში, ტფილისის გუბერნის ყველა სადირექციო სკოლებში და კერძო სკოლებში. იმიერ სადირექციო სკოლებშიაც თან-და-თან გზას იკვლევს, თუმცა უცერემონიო ძალა წინ ეღობება.

თვითონ ბ-ნი ლევიცკი რაღა აზრისაა თავისის სახელმძღვანელოზედ? დარწმუნებულია იგი მის ღირსებასა და ვარგისობაში?.. მისი მოქმედებიდგან სრულიად წინააღმდეგი სჩანს. ავტორი, რომელსაც სრული იმედი აქვს თავისი სახელმძღვანელოსი, არას დროს არ მიჰმართავს ძალ-დატანებას, ხრიკებს, ოინებს. იგი დარწმუნებულია, რომ მისი ღირსეული სახელმძღვანელო თავის თავად დაბრკოლებებს დასძლევს, გზას გაიკაფავს, სკოლებში საამური სტუმარი შეიქმნება, მეტადრე ეს უნდა ითქვას დირექტორისაგან შედგენილს წიგნზედ. თუ ეს წიგნი მეტ-ნაკლებობით გონივრულია და ღირსეული, იგი თავის თავად ისე სწრაფად მოეფინება სკოლებში, როგორც ხეების ფოთოლი იფინება მიწაზედ შემოდგომობით. და თუ ამისთანა უფროსი ავალებს მასწავლებლებს, გინდათ, თუ არა შემოიღეთ ჩემი წიგნიო, და ამავე დროს უცერემონიოთ სდევნის მოციქე სახელმძღვანელოსა, ეს უტყუარი ნიშანია იმისი, რომ თითონ ავტორს თავისი წიგნის იმედი არა აქვს, უძლურად სთვლის მას და დარწმუნებულია, რომ იგი თავისთავად ვერას გზით და ვერ მოიკიდებს ფეხს სასწავლებლებში... გამოდის, რომ Курсъ-ი ისე უბედურს ვარსკვლავზედ დაბადებულა, რომ არამც თუ ყველა სხვა მის უხეირობაში დარწმუნებულია, თითონ ავტორსაც-კი წყალ-წაღებულ რაღმე მაჩნია.

ბ ნი ვერმიშანაშვილი იმედულობს, რომ მთავრობა გაერევა ამ საქმეში და მისგანვე მოწონებულის სახელმძღვანელოს შემოღებას ქუთათურს სკოლებში პირდაპირ უბრძანებსო და ამითი დაიხსნის მასწავლებლებს და სკოლებს გაჭირვებული მდგომარეობიდგანაო. ჩვენ სხვა აზრისა ვართ. მთავრობამ თავისი ჰქმნა, გაშინჯა წიგნი, მოიწონა სახელმძღვანელოდ, დაამტკიცებინა მთავარ-მართებელს, დაჰბეჭდა ეს თავისს ოფიციალურ გამომოცემაში. რიგი ახლა მასწავლებლებზედ არის მიმდგარი. გამარჯვება კანონისა, მოვალეობისა და სკოლების სიკეთისა მათ ხელშია. და სრული საფუძველიცა გვაქვს, რომ ისინი გაამართლებენ იმედსა და მოლოდინსა. თუ ტფილისის გუბერნიის ყველა სკოლებში იწყეს ხმარება Русское Слово-სი, როდესაც იგი იყო მოწონებული მხოლოდ როგორც „Учебное пособіе, ქუთაისის გუბერნიის სკოლების მასწავლებლები როგორ ვერ მოახერხებენ მის შემოღებას ეხლა, როდესაც იგი მოწონებულია, როგორც სახელმძღვანელო. ეს მით უმეტეს უნდა ყოველსავე ეჭვის გარეშე იყოს, რომ ვერავინ იტყვის, ვითომ იმიერნი მასწავლებელნი დაბლა იდგნენ ამიერებზე ან პედაგოგიური განვითარებით, ან ხასიათის სიმტკიცით, და ან მოვალეობის ასრულების უნარით..

თუ ამიერნი მასწავლებელნი ცხადად ჰხედავენ, რომ მტკიცე კავშირი, რომელიც არსებობს „დედა-ენას“ და Русское Слово-ს შორის, ერთი ორად და სამად უადვილებს სწავლის საქმეს როგორც მოწაფეებს, ისე მასწავლებლებს, არავის საბუთი არა აქვს სთქვას, ვითომ ამის შეგნებას მოკლებულნი იყვნენ იმერნი მასწავლებელნი და არ ესმოდეთ, რომ სხვა-და-სხვა სისტემაზედ აგებულნი სახელმძღვანელონი ქართულისა და რუსულის ენისა, ხმარებულნი ერთსა და იმავე სკოლაში, საქმეს გააძნელებს და წარმატებას სწავლისას ძლიერ შეამცირებს.

დიაღ, არავის არა აქვს საბუთი მსგავსი რამე იფიქროს იმიერ მასწავლებლებზედ, მით უმეტეს, რომ საუკეთესონი და ღირსეულნი მათგანნი ყურ-მოჭრილ ყმებსავით არ დაემორჩილნენ უკანონო აკრძალვასა და თავის სკოლის კარები გაუღეს ჩვენს სახელმძღვანელოს „Русское Слово“-სა, და ისიც მაშინ, როდესაც ამ წიგნის მოწონება სახელმძღვანელოდ მათ იცოდნენ მხოლოდ გაზეთებიდგანა. ახლა ეს მასწავლებლებმა უწყიან ოფიციალური გამოცემიდგან და ეჭვი არ არის, რომ „ფრთხილნიც“ დაეშურებიან აღასრულონ ისა, რის აღსრულებაც მათ მოვალეობას შეადგენს...

დასასრულ, უნდა ვაღიაროთ, რომ ბ-ნი ლევიცკისათვის ყოველი სიკეთე გვსურს, მაგრამ ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ მოვახსენოთ, რომ თუ იგი თავის წინააღმდეგობას ჩვენი წიგნის შესახებ ახლაც არ შესწყვეტს და მას გზას არ გაუხსნის, თავის ქვეშევრდომ სკოლებში, თანახმად მთავრობის გარდაწყვეტილობისა და განკარგულებისა, ჩვენ იძულებულნი ვიქმნებით, სხვათა შორის, დაწერილებით გამოვაქვეყნოთ ის საარაკო უვიცობა და უკუღმართობა, რომლითაც გაჭიკნილია თავიდგან ბოლომდე მისი სრულიად მკვდარი Курсъ-ი.

იაკობ გოგებაშვილი

---

# დ ე პ ე შ ა

## 20 აპრილი

**პეტერბურგი.** „Новости“-ს გაუგონია, რომ მთავრობის განსაკუთრებული კომისია დაინიშნება, კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სააქციონერო საზოგადოებათა და სადგილ-მამულო ბანკთა წარმომადგენელნი, და ამ კომისიას მიენდობა განხილვა: საზოგადოდ სააქციონერო საზოგადოებათა შესახების კანონებისა, კერძოდ სადგილ-მამულო ბანკების წესდებათა და აგრეთვე ისიც, თუ ამ დაწესებულებათათვის როგორი საფინანსო კონტროლი უნდა დაარსდეს.

**ხარკოვი.** საგანგებო მატარებელი დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის გვამითურთ აღდგომის პირველს დღეს მოვა.

**რომი.** იტალიაში პირველმა მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა და მუშებმა თითქმის ყველგან მუშაობას მოჰკიდეს ხელი. რომში მეფემ ჩამოიარა მუშათა უბნები და ყველგან დიდის სიხარულითა და ალტაცებით დახვდნენ მუშანი. შუადღის შემდეგ სანტა-კროჩეს მოედანზედ მუშებმა თავი მოიყარეს; შეტაკებაც მოუხდათ პოლიციასთან: 1 პოლიციელი მოკლულ იქმნა, ხოლო 5 გარეშე კაცი და 9 ჯარის-კაცი დაიჭრა. სხვაგან მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

**ბერლინი.** დღეს საღამოზედ რამდენიმე კრება შესდგა სოციალისტებისა, მაგრამ უწესოება არსად არა მომხდარა-რა.

დღევანდელს სამხატვრო გამოფენის გამოისობით გამართულს ნადიმზედ ანტონ ვერნერმა, სხვათა შორის, დიდის თანაგრძნობით მოიხსენია ის გარემოება, რომ რუსებიც იღებენ მონაწილეობას ამ გამოფენაში.

**პარიჟი.** აქ პირველმა დღემ მაისისამ უფრო მშვიდობიანად ჩაიარა, ვიდრე შარშან. რამდენჯერმე ბიჭ-ბუჭებმა თავი მოიყარეს თანხმობის მოედანზედ. 100-მდე კაცი დაპატიმრებულ იქმნა, მაგრამ უმეტესობა მათ შორის უკვე განათავისუფლეს. საჯარო კრებებზედ უწესოება არა მომხდარა-რა. პროვინციაში-კი, პირიქით, მანიფესტაციები უფრო ხშირი იყო, მაგრამ იმათაც მშვიდობიანად ჩაიარეს, ლიონსა და ფურმას გარდა, სადაც შეტაკების დროს რამდენიმე კაცი მოკვდა და რამდენიმეც დაიჭრა. ბელგიასა და ისპანიაშიაც იყო მუშების მანიფესტაციები, მაგრამ უწესოება იქაც არა ყოფილა-რა, ბარცელონის გარდა.

**ხარკოვი.** დილის 7 საათზე, ლუბკიდგან იალტას მოასვენეს გვამი დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძისა.

**სევასტოპოლი.** დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის გვამს დღეს მოასვენებენ აქ, 3 საათზედ. პროცესია ეკატერინის ქუჩით გაივლის. ტაძართან გარდახდილ იქმნება მცირე წირვა. შემდეგ პროცესია რკინის გზის სადგურისაკენ წარემართება. ქალაქი უღვაწლთ მკვლელსა და მფარველსა ჰგლოვობს. სახლები შავად არის მორთული.

## 21 აპრილი

**პეტერბურგი.** კერძო სადგილ-მამულო ბანკების $6^0/_0$ სესხის $5^0/_0$-ად გადაცვლის საქმე კარგად მიდის. დღემდე 75 მილიონიდგან 67.600,000 მანათამდე მოითხოვეს. შემდეგ 75 მილიონსაც გადაამეტებს მოთხოვნილება. უფრო ს.-პეტერბურგისა, ტულას და კიევის ბანკების ოლქებიდგან თხოულობენ. აქ დაწესებულს ჯამს გადაამეტა მოთხოვნილებამ. ხარკოვის სადგილ-მამულო ბანკში 9 მილიონით ნაკლები მოუთხოვნიათ დაწესებულ ჯამთან შედარებით, რადგან ცირკულიარის დარიგება მოუგვიანდათ. როცა საბოლოოდ განაწილებულ იქმნება ფული, ამ ცხრა მილიონით სხვა ბანკები ისარგებლებენ, თუ ვადამდე ამ ჯამის მოთხოვნილება არ შევიდა.

უმაღლესის ბრძანებით იზმაილის პოლკის კაპიტანს დიდს მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს ებოძა პოლკოვნიკობა და პოდპორუჩიკს პრინც პეტრე ოლდენბურგელს — პორუჩიკობა.

**ბერლინი.** თავ. ბისმარკმა დღეს გესტემინდენის ნაციონალ-ლიბერალთა კომიტეტის დეპუტაცია ინახულა. თავადმა ბისმარკმა ჩაიბარა პარლამენტის რწმუნების ქაღალდები და მადლობა გადაუხადა დეპუტაციას ასეთის პატივისათვის.

**პარიჟი.** სრულიად აღკრძალულ იქმნა პრინცის ნაპოლეონის გვამის კორსიკაზედ დასაფლავება.

## 22 აპრილი

**პეტერბურგი.** აღმოსავლეთის მგზავრობიდგან დაბრუნებულნი დიდნი მთავარნი ალექსანდრე და სერგეი მიხეილის ძენი გუშინ მოვიდნენ ბრინდიზს, იტალიაში.

**სევასტოპოლი.** ესკადრა დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის უფროსის გვამითურთ შაბათს მოვიდა და სამის გემიდგან ზარბაზნის სროლით დაუხვდნენ. განსვენებულის მთავრის კუბო ტაძარში გენერლობამ შეასვენა; აქ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი და შემდეგ პროცესია რკინის გზის სადგურისკენ დაიძრა. მატარებელი განსვენებულის გვამითურთ საღამოს $7^1/_4$ საათზედ დაიძრა.

**ათინა.** გუშინ მემკვიდრე პრინცესამ სოფიომ, გერმანიის იმპერატორის დამ, მართლ-მადიდებლობა მიიღო.

**ბელგრადი.** გუშინ ჰაბუკმა მეფემ ჰნახა დედოფალი-დედა, რომელიც კარგა ხანია არ ენახა.

**ტიანწინი.** ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა რკინის გზის გაყვანა შიდა ჩინეთში და უკვე გამოაცხადა, რომ ვისაც უნდა, შეუძლიან იჯარით აიღოს რელსების მომზადებაო.

**აიაჩიო.** რუსეთის გემი „ადმირალ კორნილოვი“ ჯერ-ჯერობით არ დაიძვრება ადგილიდგან, რადგან დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე ხვალ მიდის ვიენთას გარეულ ღორზედ სანადიროდ. მას უმაღლესობასთან ახლავს რუსეთის ელჩი. მას შემდეგ, რაც მისი უმაღლესობა კორსიკას არის, ძალიან ჯან-მრთელად იმყოფება, ასე რომ ექიმებმა ადვილად დართეს ნება მთაში მოგზაურობისა. გუშინ დიდმა მთავარმა აქაური პრეფექტი ინახულა.

## 23 აპრილი

**ხარკოვი,** 22 აპრილს. დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის გვამი გუშინ მოასვენეს ხარკოვის რკინის გზის სადგურზედ საღამოს 9 საათსა და 34 წ. საგანგებო მატარებლით, რომელიც 14 ვაგონისაგან შესდგებოდა. ბაქანზედ გამწკრივებული იდგა საპატიო დარაჯი დროშითა და მუსიკის ხოროთურთ. როცა მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა, მუსიკამ დაუკრა „Коль Славенъ“-ი. მის უმაღლესობის გვამს ბაქანზედ მიეგება შემოსილი ეპისკოპოსი სუმისა ვლადიმირი ქალაქის სამღვდელოებითა და არქიელის მგალობელთა ხოროთურთ. სამგლოვიარო ვაგონის კარები ადრევე ღია იყო. კუბოსთან, რომელიც თეთრის სადიდმთავრო დასახურავით და დიდ-ძალის გვირგვინებით იყო შემკული, წესი კვლავ გარდაიხადეს. კუბო კიდევ რამდენისამე ყვავილების გვირგვინებით შეამკეს. სადგურს ახლო უშველებელი მოედანი სავსე იყო ხალხით, რომელნიც თავ-მოხდილი იდგა. ჯარისკაცნი სადგურის გარეშემო იყვნენ დამწკრივებულნი. საღამოს 10 საათსა და 14 წუთს მატარებელი დიდის მთავრის გვამითურთ დაიძრა.

**პეტერბურგი.** დიდის მთავრის ნი-

კოლოოზ ნიკოლოოზის ძის უფროსის გვამს ხვალ მოასვენებენ, დილის ცხრა საათზედ, ხოლო მიწას პარასკევს მიაბარებენ.

ვლადივოსტოკიდგან ოფიციალური ცნობა იუწყება, რომ გუშინ დილით მემკვიდრე ცესარევიჩი ოფიციალურად ჩამოხდა ნაგასაკს და აქ მეფურის პატივით მიეგება მის უმაღლესობას პრინცი არისგავა, წარჩინებულნი და ელჩნი. ამ დროს, თუმცა წვიმა კოკისპირულადასხამდა, მაინც დიდ-ძალი ხალხი იდგა ქუჩებში. მისი უმაღლესობა სადილად ჰბრძანდებოდა გუბერნატორთან. სადღეისოდ მისი უმაღლესობა კაგოზიმხ-კოზეს აპირებს წასვლას.

დიუსელდორფი. პროვინციის ხარისხოვანთა კაცთა დღესასწაულზედ იმპერატორმა ვილჰელმმა სთქვა, რომ მშვიდობიანად ყოფნა ჩემს მდგომარეობასთან შეკავშირებული მოვალეობაა და ამიტომ ყოველსავე ღონისძიებას ვიხმარ, რომ მშვიდობიანობა არაფრით იქმნას დარღვეულიო.

## 24 აპრილი

ლონდონი. „Times“-ს შეუტყვია, რომ ევროპის სინდიკატმა პარიჟას ბანკ „როჩილდითურთ“, რომელსაც ამ ხანებში რუსეთის 3% საკონვერსიო სესხი უნდა გამოეცა, მიჰმართა რუსეთის მთავრობას და სთხოვა, რომ სესხის გამოცემის ვადა გადავდოთ, რადგან ეხლა იმის გამოცემას დრო და გარემოება ხელს არ უწყობსო. როგორც ეტყობა, პორტუგალიის სესხის ცუდად წარმართვას დიდ-ფულიანი კაცნი ძალიან შეუწუხებია.

ვენა. აქ ბერლინიდგან ამბავი მოვიდა, რომ პარიჟის ბანკმა „როჩილდმა“ რუსეთის სესხზედ უარი სთქვაო. Fremdenblatt-ი-კი აცხადებს დღეს, რომ, როგორც ნამდვილად შევიტყე, ეს ამბავი ტყუილიაო. „Wiener Zeitung“-ი ამბობს, რომ ამ ამბავს აქაური ბანკი „როჩილდის“ უარ-ჰყოფსო.

პეტერბურგი. დღეს დიდის ამბით მიასვენეს პეტრე-პაულეს ტაძარში გვამი დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის უფროსისა.

პარიჟი. სადაზოვნო კომისიამ დაადგინა, რომ პურის გარდასახადი სამს ფრანკამდე შევამციროთ ერთის წლით ამ დადგენილობის გამოცხადების დღიდგანაო.

ვენა. დიდნი მთავარნი ალექსანდრე და სერგეი მიხეილის ძენი შუაღამისას დაბრუნდნენ აქ იტალიიდგან. რკინის გზის სადგურზედ მათ უმაღლესობათ დაუხვდნენ თავ. ლობანოვროსტოვსკი და რუსეთის საელჩოს ყველა წევრი. დღეს შუადღისას მათნი უმაღლესობანი პეტერბურგს წაბრძანდნენ.

ბეკეზერის კომიტეტში ჯერაც არ შეწყვეტილა მუშათა უწესოებანი და დიდ-ძალი ჯარია გაგზავნილი.

ბერლინი. სტამბოლიდგან მოვიდა ამბავი, რომ დარდანელში გემის „კოსტრომის“ დაჭერის გამო ატეხილი საქმე უკვე მშვიდობიანად დაბოლოვდაო.

პარიჟი. ფურმაში დღეს დილის მუშა-კაცნი სახელოსნოებში დაბრუნდნენ; ხალხი ცოტ-ცოტა დაწყნარდა და ერთი ნაწილი ჯარისა უკვე დათხოვნილ იქმნა ქალაქიდგან.

## 25 აპრილი

პეტერბურგი. პოლკოვნიკი ლეიბ-გვარდიის იზმაილოვის პოლკისა, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე დანიშნულ იქმნა ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის უფროსად.

პარიჟი. სატამოჟნო კამისიამ გადასწყვიტა ექვს ფრანკამდე დასწიოს ბაჟი შემოტანილის ფქვილისა.

### პეტერბურგის ბირჟა 24 აპრილი.

| | მყიდველნისა. | გამყიდველნისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 70 | 6 73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 134 | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 08 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 244½ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 224 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 213½ | — „ | 217 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

## „ნუ ახველებ“

აფთ-ბალახიანი ძალც ექსტრაქტი და კამფეტები

ლ. ბ. პიტშისა და ამხ. ბრესლაველში.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰლირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

ვ. ადურიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, $^{18}/_{19}$.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—14)

ეს განცხადება დაბეჭდილია მთავრობის მოამბის 191 №-ში.

## ა. როინაშვილი

ყიდულობს ყველა ნაირს მველებურს ნივთებს

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიანთ მველებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრეშუმის მაფშულობით კერვა ფარჩაზედ: ბაფთებისა, სუზნებისა, თახჩის ფარდებისა, და სხვა. უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურ. თ. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ოქრუაშვილისაგან . . . . . . . | 1 | „ |
| სამძლვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელსახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ევსტატისა. ყდით . . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინანსისა ოცდა შვიდი სურათით . . . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаѣ и Диманаѣ или сборникъ басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . . | 3 | „ |
| Материалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . . . | „ | 25 |

# მომავალ დღესასწაულებისთვის

ისყიდება კახეთის საუკეთესო ღვინოები თავ. ილია გრ. ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების ვენახებისა.

ვედრა 2 მან. 40 კაპ. — — 10 მანათამდე

ბოთლი — — 15 კაპ. — — 1 მანათამდე

ღვინის სარდაფი იმყოფება შუა-ბაზრის თავში, ნოტარიუს ყიფიანის კანტორის ქვეშ.

სოლომონ თ კურდღელოვი

(2—2)

# „დასავლეთი“

ახალი რესტორანი, ვერაზე, მეზურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და ს. მელიძგაური

(40—27)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | | 5 „ . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | | 4 „ . . . | 4 „ 70„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | | 2 „ . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | | 1 „ . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას აღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. Цен. Тифлисъ, 25-го Апрѣля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.